ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№96. 962401227

თარიღი:12/01/2024

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ჯგუფის წევრებზე ფუნქციების განაწილების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ე.ვ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების განხორციელების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და განაწილდეს ჯგუფის წევრებზე ფუნქციები შემდეგის მიხედვით:**

N	სამუშაო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი და თანამდებობა	ფუნქციები
1	**ზვიადი ლობჟანიძე** - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან
2	**გიორგი გაზდელიანი** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
3	**სოზარ ბენდელიანი** - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/ კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით
4	**ლევან ლიპარტელიანი** - ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების

		მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება
5	**მელანო ქურასბედიანი** - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი	მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის
6	**ტახუ ჩანქსელიანი** - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა
7	**ტუღუ აფაქიძე** - იურიდიული სამსახურის უფროსი	მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გია ონიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი